„თვითმმართველობა ეროვნული ფასეულობაა საქართველოს ყოველდღიური საქმიანობისა. საცა ერნენ ადამიანები, ეგი ყველგან ხალხია... ყოველი სახელმწიფო, რიგიანს ეუბნება ცოდვათ თუ ბოროტად ადამიანები, ხარენდი-ხარენდად ანის ადაყოფილი, რომ მოვდეს და აღგონინოს აღმოვენილი იყოს.“

ხობის მოამბე

№4 (7099) 2 მაისი, ოთხშაბათი, 2018 წელი.
ფასი 0,70 ლარი.

ხობის მუნიციპალიტეტის ბეჭდვითი ორგანო

ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკაში დაბრუნდა!

პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატული საქართველოს“ ბიძინა ივანიშვილი უხელმძღვანელებს.

გიორგი კვირიკაშვილი—პარტიის განვითარებისთვის კარგია, რომ ბიძინა ივანიშვილი დაბრუნდა



ძალიან კარგია პარტიისთვის, რომ ბიძინა ივანიშვილი თავმჯდომარე ხდება. ეს პარტიის გაძლიერებას ხელს შეუწყობს, – ამის შესახებ პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა.

„ძალიან კარგია პარტიისთვის, რომ ბიძინა ივანიშვილი თავმჯდომარე ხდება. ეს პარტიის გაძლიერებას ხელს შეუწყობს. სამწუხაროდ, დღემდე თვითონ პარტია, როგორც ინსტიტუცია „ქართული ოცნება“ ვერ ჩამოყალიბდა, გრძელვადიანი პერსპექტივისთვის ვერ მოემზადა. ძალიან კარგია, რომ პარტია გაძლიერდება და უკვე არჩევნებიდან არჩევნებამდე, მთლიანად ამ ციკლის განმავლობაში იმუშავებს კიდევ უფრო აქტიურად. ეს ქვეყანაში დემოკრატიის განვითარებასაც შეუწყობს ხელს, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან 2024 წლისთვის ჩვენ უნდა მოვემზადოთ უკვე განვითარებული პარტიების სისტემით, ინფრასტრუქტურით. ეს საპარლამენტო რესპუბლიკაზე გადასვლისთვის არის უაღრესად მნიშვნელოვანი“, – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

„ქართული ოცნების“ პოლიტსაბჭოს ახალი შემადგენლობა ცნობილია

„ქართული ოცნების“ გენერალური მდივნის კახა კალაძის განცხადებით, პოლიტსაბჭოს რამდენიმე ახალი წევრი ეყოლება.

ამასთან, როგორც კალაძემ აღნიშნა, პოლიტსაბჭომ ბიძინა ივანიშვილის პარტიის თავმჯდომარედ დანიშვნას მხარი დაუჭირა.

„დღეს შედგა პოლიტსაბჭოს სხდომა. სხდომის ფორმატში ვიმსჯელეთ პარტიის ყრილობაზე განსახილველ საკითხებზე. საბჭომ მხარი დაუჭირა ბიძინა ივანიშვილის დანიშვნას პარტიის თავმჯდომარედ. **პოლიტსაბჭოს ახალი შემადგენლობა შემდეგნაირად გამოიყურება: ბიძინა ივანიშვილი,** პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**, პარლამენტის თავმჯდომარე **ირაკლი კობახიძე**, პარლამენტის ვიცე-სპიკერი **თამარ ჩუგოშვილი**, ვიცე-სპიკერი **გია ვოლსკი**, პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე **ილია ნაკაშიძე**, საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი **არჩილ თალაკვაძე**, ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე **მამუკა მდინარაძე**, პარლამენტის წევრები **დიმიტრი სამხარაძე, ბიძინა გეგიძე, ირაკლი ტრიპოლსკი, დავით საგანელიძე,** ხოლო მთავრობის წევრებიდან ინფრასტრუქტურის მინისტრი **მაია ცქიტიშვილი** და ლტოლვილთა და განსახლების მინისტრი **სოზარ სუბარი** და მე -**კახა კალაძე**“, –განაცხადა თბილისის მერმა.

ცნობისთვის, პოლიტსაბჭოს ახალ შემადგენლობასა და ბიძინა ივანიშვილის პარტიის თავმჯდომარედ დანიშვნას კენჭს პარტიის ყრილობაზე უყრიან.

პოლიტსაბჭოს ახალი შემადგენლობა 15 წევრამდე შემცირდა.

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა

27 აპრილს, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში გაიმართა საკრებულოს მორიგი სხდომა, რომელსაც უძღვებოდა საკრებულოს თავმჯდომარე ედიშერ ჯობავა.

სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოსა და მერიის ხელმძღვანელი პირები.

სხდომაზე განხილულიქნა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები, მათ შორის დადგენილების პროექტი: „ხობის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის № 67 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“, რომლის თანახმადაც მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში აისახა 2018 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით არსებული ნაშთი 84.1 ათასი ლარის ოდენობით, რომელიც მიემართება შემდეგი ღონისძიებების დასაფინანსებლად:

69.5 ათასი ლარი–პრიორიტეტის ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაციის ასიგნებებზე; 5,0 ათასი ლარი–პრიორიტეტის „კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები“ ასიგნებებზე, პრიორიტეტის „წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება“ ასიგნებაზე მიიმართება 2,5 ათასი ლარი; 7,1 ათასი ლარი–პრიორიტეტის „განათლება“ ასიგნებებზე. ბიუჯეტის მთლიანმა მოცულობამ და შემოსულობების გეგმა შეადგენს 10669,9 ათას ლარს.

სხდომაზე ასევე განიხილეს განკარგულების პროექტი: „ხობის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის დამტკიცების თაობაზე“. 2017 წლის ბიუჯეტი დაგეგმილი იყო 8243,8 ათასი ლარით. წლის დასასრულს დაზუსტებულმა ბიუჯეტმა საშემოსავლო ნაწილში შეადგინა 11878,7 ათასი ლარი. ფაქტიურად ბიუჯეტში მობილიზებულიქნა 11961,7 ათასი ლარი და ბიუჯეტი შესრულებულია 100,7 %-ით. ხოლო საგასავლო ნაწილში 2017 წლის გეგმა შეადგენდა 13791,4 ათას ლარს, ფაქტიურმა შესრულებამ კი შეადგინა 11966,9 ათასი ლარი (86,6%).

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხობის საკონსულტაციო სამსახურის წარმომადგენელმა ბ. ნაჭყებიამ საკრებულოს წევრებს დეტალური ინფორმაცია მიაწოდა აზიურ ფაროსანასთან ბრძოლის სახელმწიფო და მუნიციპალური პროგრამების შესახებ, განხორციელებულ და დაგეგმილ პროექტებზე.

საკრებულოს თავმჯდომარე ედიშერ ჯობავამ საკრებულოს წევრებს და აპარატის თანამშრომლებს მიულოცა მინი ფეხბურთში „ნატოს თასის“ მოპოვება და შემდგომი წარმატებები უსურვა მათ.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ამ და სხვა საკითხების განხილვის შემდეგ საკრებულოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

ჩვენს მუნიციპალიტეტში

მუნიციპალიტეტის მერი ნოჯიხევისა და ზემო ქვალონის მოსახლეობას შეხვდა

ხობის მუნიციპალიტეტის მერი გოჩა ქაჯაია ნოჯიხევისა და ზემო ქვალონის ადმინისტრაციული ერთეულების მოსახლეობას შეხვდა. შეხვედრას მერის პირველი მოადგილე ვარაზ გაბედავა და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხობის საკონსულტაციო სამსახურის უფროსი ანგულ მიქავა ესწრებოდნენ. მუნიციპალიტეტის მერმა და შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლებმა ადგილობრივ მოსახლეობას სახელმწიფო და მუნიციპალური პროგრამების შესახებ დეტალური ინფორმაცია მიაწოდეს და განხორციელებულ და დაგეგმილ პროექტებზე ისაუბრეს. „აზიურ ფაროსანასთან ბრძოლა აქტიურ ფაზაში შედის. იმისათვის, რომ მაქსიმალურად შევამციროთ ზარალის მოცულობა აუცილებელია მოსახლეობის აქტიურობა. სახელმწიფო პროგრამის შესაბამისად ხობის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში ერთი ტრაქტორი და 8 ერთეული მაღალი გამავლობის ავტომობილი იმუშავებს, მათ შორის - ხუთი ავტომობილი აღჭურვილია თერმული ნისლის აგრეგატით, ხოლო სამზე დამონტაჟებულია მცირემოცულობიანი შემასხურებელი ტექნიკა. ნოჯიხევში გარემონტდა საბავშვო ბაღი, გაზიფიცირდა სოფელი, მოეწყო ნაპირდამცავი გაბიონი, შეკეთდა ხიდები და ხიდ-ბოგირები; ხოლო ზემო ქვალონში აშენდა წყლის მაგისტრალი, „ენერგო-პრო ჯორჯიამ“ განახორციელა დასახლების ინდივიდუალური გამრიცხველიანება. შიდა სასოფლო გზის პროექტირებაზე ტენდერი დასრულებულია, გამარჯვებული კომპანია გამოვლენილია და ხელშეკრულება უახლოეს დღეებში გაფორმდება. მუნიციპალიტეტში არაერთი ინფრასტრუქტურული პროექტი ხორციელდება და ამ მიმართულებით მუშაობა კვლავაც აქტიურად გაგრძელდება“–აღნიშნა მოსახლეობასთან შეხვედრისას მერმა. შეხვედრებს სისტემური ხასიათი ექნება. მუნიციპალიტეტის მერი ადმინისტრაციული ერთეულების მოსახლეობას შეხვდება და უშუალოდ მათგან მოისმენს წინადადებებს დასახლებისათვის აქტუალურ საკითხებზე.

მუნიციპალიტეტის მოსახლეობას უფასო გამოკვლევები ჩაუტარდა

26 აპრილს, „სამედიცინო კორპორაცია ევექსის“ ხობის ჰოსპიტალში, თბილისიდან ჩამოსულმა მედიკოსთა ჯგუფმა, ხობის მუნიციპალიტეტის მოსახლეობას სამედიცინო გამოკვლევები უფასოდ ჩაუტარა. მოსახლეობას შესაძლებლობა ქონდა ესარგებლა ექიმთა კონსულტაციით და ჩაეტარებინა ლაბორატორიული და დიაგნოსტიკური კვლევები.

ევექსი
სამედიცინო კორპორაცია

აქცია, საქართველოს პარლამენტის წევრის ირაკლი (დაჩი) ბერაიას, ხობის მუნიციპალიტეტის მერიის, საკრებულოს და „სამედიცინო კორპორაცია ევექსის“ ინიციატივითა და მხარდაჭერით გაიმართა. როგორც ორგანიზატორებმა აღნიშნეს, მსგავსი ტიპის სამედიცინო კვლევები მომავალშიც ჩატარდება.

ჩერნობილის ტრაგედიიდან 32 წელი გავიდა

1986 წლის 26 აპრილს, უკრაინის ტერიტორიაზე ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის მე-4 ბლოკზე ავარია მოხდა. აფეთქება იმდენად ძლიერი იყო, რომ მეოთხე ბლოკი სრულიად განადგურდა; გარემოში დიდი რაოდენობით რადიოაქტიური ნივთიერება გამოიტყორცნა. ავარიის შედეგად ათეულობით ათასმა ადამიანმა მიიღო რადიაციული დასხივება.

ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან, ჩერნობილის ატომურ ელექტროსადგურზე სალიკვიდაციო სამუშაოებში მონაწილე 16 მოქალაქეს, პირად ანგარიშზე 100-100 ლარი ჩაერიცხება.

ინტელექტუალური კონკურსი– „ჩვენ ვსწავლობთ ბიბლიას“

ხობის ყოვლადწმიდის ქალწულ მარიამის ტაძრად მიყვანების, წმიდისა დიდისა მოწამისა გიორგისა და წმიდისა მღვდელმთავრისა და საკვირველმოქმედისა ნიკოლოზის სახელობის საეკლესიო კომპლექსის ცოტნე აღმსარებლის სახელობის სულიერ-საგანმანათლებლო ცენტრში საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრის ორგანიზებითა და განათლების და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერით ინტელექტუალური კონკურსი–„ჩვენ ვსწავლობთ ბიბლიას” გაიმართა.

რეგიონალური კონკურსი ორ ასაკობრივ ჯგუფში ჩატარდა: უმცროსი ასაკობრივი ჯგუფი (V-VIII კლასი) და უფროსი ასაკობრივი ჯგუფი (IX-XII კლასი). უფროს ასაკობრივ ჯგუფში პირველი ადგილი „კელაპტარმა“ (ზუგდიდის №2 საჯარო სკოლა) დაიკავა; ხოლო მეორე ადგილზე ხობის მუნიციპალიტეტის პირველი მაისის საჯარო სკოლის გუნდი „ნოეს კიდობანი“ გავიდა, რომელიც სანუგეშო ეტაპზეა და 18 ქულით აგრძელებს თამაშს.

ქალაქ ხობსა და პატარა ფოთში გზების რეაბილიტაცია მიმდინარეობს

ქალაქ ხობში, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისა და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით, შიდა გზების კეთილმოწყობა (გზების მოასფალტება და სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია) მიმდინარეობს. ცენტრალური სტადიონის მიმდებარე ტერიტორიაზე მიმდინარე სამუშაო ხობის მუნიციპალიტეტის მერმა გოჩა ქაჯაიამ დაათვალიერა.

პროექტი, რომელსაც ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს „შარაგზა-გზაშენი პირველი“ ახორციელებს 26 მაისის, ერეკლე მეორის, დავით აღმაშენებლის (I და II ჩიხები), ფიროსმანის, იონა მეუნარგიას, ვახტანგ გორგასლის (მეორე ჩიხი), ილია ჭავჭავაძისა და გიორგი ჭყონდიდელის დამაკავშირებელი ქუჩებისა და ცენტრალური სტადიონის მიმდებარე ტერიტორიაზე გზის რეაბილიტაციას ითვალისწინებს.

სამუშაოს სახელშეკრულებო ღირებულება 320 ათასი ლარია. გზების რეაბილიტაციაზე დასაქმებულია ადგილობრივი მუშახელი.

* * *

ხობის მუნიციპალიტეტის პატარა ფოთის ადმინისტრაციულ ერთეულში გზის რეაბილიტაციის მეორე ეტაპი მიმდინარეობს. სამშენებლო სამუშაო ხობის მუნიციპალიტეტის მერმა გოჩა ქაჯაიამ და მერის პირველმა მოადგილემ ვარაზ გაბედავამ დაათვალიერეს. ინფრასტრუქტურული პროექტი, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისა და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით ხორციელდება და მისი სახელშეკრულებო ღირებულება 1.118.793 ლარს შეადგენს (I ეტაპი -817054 ლარი; II ეტაპი - 301739 ლარი). გზა, რომელიც სოფელს სენაკი-ფოთი-სარფის საავტომობილო მაგისტრალთან აკავშირებს, წლების განმავლობაში ამორტიზირებული იყო და მოსახლეობას გადაადგილებისას პრობლემებს უქმნიდა.

პროექტი უახლოეს დღეებში დასრულდება და მოსახლეობას კეთილმოწყობილი გზით სარგებლობის შესაძლებლობა ექნება.

ქარიატა ჩვენი მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სოფელია, რომელსაც ორად ყოფს მდინარე ხობისწყალი. მოსახლეობას ერთმანეთთან ხიდი აკავშირებს...

სოფელს ხელმძღვანელობს განათლებული, კომუნიკაბელური, შრომისმოყვარე ახალგაზრდა ირაკლი ბერაია. რომლისთვისაც ქარიატა შეიძლება ითქვას, მშობლიურ, პირველ ხორგასავით საყვარელი ადგილია.

ის რამდენიმე წელია ქარიატელთა ჭირისა და ლხინის თანაზიარია, ზრუნავს სოფლის კეთილდღეობისთვის და ცდილობს აქ მცხოვრებთ არსებობისთვის ნორმალური პირობები ჰქონდეთ.

იმის შესახებ, თუ რა გაკეთდა ქარიატაში და რა არის გასაკეთებელი, გავესაუბრეთ მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელს ქარიატის ადმინისტრაციულ ერთეულში ირაკლი ბერაიას.

სოფელი სიახლეების მოლოდინში...

ირაკლი, პირველ რიგში მინდა გაკეთებულ საქმეებზე ისაუბროთ, რომელიც წლებია პრობლემად რჩებოდა სოფლისთვის. დღეს კი თქვენი ძალისხმევით ქარიატელებს წყლის პრობლემა მოეხსნათ, რა წყაროებით მოხდა ამ პრობლემის მოგვარება?

–ქარიატის ადმინისტრაციულ ერთეულში 2013 წლიდან ვმუშაობ. ამ პერიოდში, სოფელში არაერთი ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდა–მოეწყო საბავშვო ბაღის ეზო, დამონტაჟდა ახალი სათამაშო ატრაქციონები, გაღმა ქარიატაში შეკეთდა საყანე ფართობებთან მისასვლელი გზები, სოფლის სასაფლაოს ამორტიზებული ღობე შეიცვალა ახლით, შარშან გარემონტდა სოფლის ამბულატორია და ყველაზე მთავარი და უმნიშვნელოვანესი პროექტი, რომელიც ხორციელდება და დასრულების ფაზაშია, ეს არის წყალმომარაგების სისტემის მშენებლობა. როგორც თქვენთვის ცნობილია, ჩვენს სოფელში სასმელი წყლის პრობლემა მწვავედ იდგა, არსებული არტეზიული ჭების უმეტესობა უვარგისია და მოსახლეობა სასმელ წყალს სოფელ ჭალადიდიდან ეზიდებოდა, ხოლო სამეურნეო დანიშნულებით მდინარის წყალს იყენებდნენ. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და ქარიატის მოსახლეობის სახელით მადლობა გადავუხადო პარლამენტის წევრს ბატონ ირაკლი ბერაიას, ჩვენი მუნიციპალიტეტის მერს ბატონ გოჩა ქაჯაიას, საკრებულოს თავმჯდომარეს ბატონ ედიშერ ჯობავას ამ პროექტის მხარდაჭერისთვის, აგრეთვე მადლობა მინდა ვუთხრა ადგილობრივი თვითმართველობის მოხელეებს და საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის ხელმძღვანელობას, რომლებიც ჩართული იყვნენ ამ პროექტის დაგეგმვასა და მომზადებაში. სამუშაოს ღირებულება მილიონ ლარს აღწევს. ჯამში 34 კმ სიგრძის წყალგაყვანილობის სისტემა შენდება, რაც სოფელ ქარიატის გარდა შუა ხორგასა და ყულევსაც მოიცავას.

რა გაკეთდა სოფლის ინფრასტრუქტურისთვის, რას იტყოდით ხიდის მშენებლობაზე რამ გამოიწვია მისი ხელახლა მშენებლობა.

–გასულ წელს ქარიატაში ექსპლუატაციაში შევიდა ახალი საფეხმავლო ხიდი. ძველი ხიდი, რომელიც გასული საუკუნის 60-იან წლებში იყო აგებული, ექსპერტების და სპეციალისტების დასკვნით ამორტიზებული იყო. ძველი ხიდის ადგილზე აშენდა ახალი ხიდი.

ახალგაზრდების თავისუფალი დროის ნორმალურად გამოყენებისთვის ქარიატაში რა ფუნქციონირებს?

–ქარიატაში ფეხბურთის სტადიონს, რომელიც წლების განმავლობაში სავალალო მდგომარეობაში იყო, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხით 2016 წელს სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა. ახლით შეიცვალა ღობე და გასწორდა სათამაშო მოედანი, მას შემდეგ ხშირად იმართება შიდა სასოფლო, ზონალური და რაიონული ტურნირები ფეხბურთში. გვაქვს ასევე კეთილმოწყობილი სასოფლო კლუბის შენობა, სადაც სოფლის ახალგაზრდობა ხშირად მართავს სხვადასხვა ღონისძიებას, ჩამოდიან თეატრალური ჯგუფები და პერიოდულად იმართება თეატრალური წარმოდგენები.

კარგი იქნება სოფლის ცენტრში გამოიყოს ადგილი და გაკეთდეს სკვერი, გალამაზდეს ყვავილებით, ბუჩქებით, დაირგოს პალმები, ნაძვის ან სხვა წიწვოვანი ჯიშის ხეები, გაკეთდეს წყარო, რაც ახალგაზრდების დასვენების ადგილი გახდება, კარგია ამ საქმის ინიციატორები ახალგზარდები თუ იქნებიან.

–არსებობს ასეთი იდეა. ძალიან კარგი იქნება თუ შევძლებთ მსგავსი სკვერის მოწყობას. ეს, როგორც მოგეხსენებათ, გარკვეულ ხარჯებთან არის დაკავშირებული. თუ უახლოეს პერიოდში გამოვნახეთ საშუალება სოფლის ახალგაზრდებთან ერთად აუცილებლად გავაკეთებთ ამ საქმეს.

სოფლის გზებზე რას გვეტყვით?

–შუა ხორგა-ქარიატა-ყულევის დამაკავშირებელი 16 კილომეტრიანი გზის რეაბილიტაცია მიმდინარეობს, რომელსაც საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება–საავტომობილო გზების დეპარტამენტი ახორციელებს. სამუშაოს ღირებულება 7 მილიონ 688 ათასი ლარია და მას ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს „NEW ROA" აწარმოებს.

პროექტის ფარგლებში მთლიანად აღდგება გზის სავალი ნაწილი, დაიგება ასფალტ-ბეტონის ორფენიანი საფარი; მოეწყობა ეზოებში შესასვლელები, საზოგადოებრივი ტრანსპორტის გასაჩერებელი მოედნები, ავტოპავილიონები, ხელოვნური ნაგებობები, წყალგამტარი მილები, კიუვეტები, დამონტაჟდება სიჩქარის შემზღუდავი ბარიერები და საგზაო ნიშნები. რაც შეეხება გამოღმა ქარიატას, ადგილობრივ ბიუჯეტში საკმარისი თანხების მობილიზების შემთხვევაში შესაძლებელია მომავალში დაიგეგმოს კაპიტალური საავტომობილო გზის მშენებლობა.

ჩვენს ზონაში რამდენიმე წელია „ფაროსანამ" გაანადგურა ნარგავები–ხეხილი, თხილი, სიმინდის ყანები, რაც ძალზე მტკივნეული საკითხია თითეული ადამიანისთვის. შარშან ჩატარდა ღონისძიებები, რაც არასაკმარისი გამოდგა მავნებლის გასანადგურებლად. წელს რა გაკეთდება ამ მდგომარეობიდან თავის დასახსნელად ქარიატაში?

–მავნებელი მწერი აზიური ფაროსანა დიდ საფრთხეს წარმოადგენს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკისთვის, მან შარშან დიდი ზიანი მიაყენა დასავლეთ საქართველოს მოსახლეობას. გასულ წელს სახელმწიფო პროგრამით შეიწამლა საკარმიდამო მიწის ნაკვეთები და საყანე ფართობები; რითაც მოხერხდა სიმინდის მოსავლის მნიშვნელოვანი ნაწილის გადარჩენა.

მიმდინარე წელს, აზიურ ფაროსანასთან ბრძოლის სახელმწიფო პროგრამის შესაბამისად ხობის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში ერთი ტრაქტორი და 8 ერთეული მაღალი გამავლობის ავტომობილი იმუშავებს, მათ შორის - ხუთი ავტომობილი აღჭურვილია თერმული ნისლის აგრეგატით, ხოლო სამზე დამონტაჟებულია მცირემოცულობიანი შემასხურებელი ტექნიკა. ადმინისტრაციულ ერთეულებში დამონტაჟდა 158 ფერომონი, ხოლო საკარმიდამო მიწის ნაკვეთების შესაწამლად დარიგებულია ზურგსაკიდი აპარატები.

ქიმიურ წამლობის არეალი დავადა მონიტორინგის საფუძველზე განისაზღვრება. ამჟამად მიმდინარეობს ქიმიური დამუშავება იმ ფართობების, სადაც დამჭერებზე მავნებლის ზღვრული ოდენობა დაფიქსირდა. პარალელურად გრძელდება მონიტორინგი, რომლის შედეგებიც თავს იყრის აბაშის მუნიციპალიტეტში არსებულ საკოორდინაციო შტაბში, ელექტრონულ ბაზაში.

მავნებელთან ბრძოლის ეფექტურობა მნიშვნელოვან წილადაა დამოკიდებული მოსახლეობის აქტიურობაზე, ამიტომ, ჩვენ ხშირად ვმართავთ შეხვედრებს მოსახლეობასთან და ვაწვდით ინფორმაციას პროგრამის მიმდინარეობისა და სხვადასხვა ღონისძიებების შესახებ.

წლევანდელ გეგმებზე რას გვეტყვი?

–სიამოვნებით გიამბობთ მომავალ გეგმებზე. ბოლო წლებში ქარიატის საბავშვო ბაღის აღსაზრდელების რაოდენობა საკმაოდ დინამიურია მატების მხრივ. შარშან 28 აღსაზრდელი გვყავდა, მიმდინარე სასწავლო წელს 32-ია, ხოლო წელს სექტემბერში 42 აღსაზრდელს ველოდებით, რაც ძალზე სასიხარულოა. აღსაზრდელების რაოდენობის ზრდამ საბავშვო ბაღის გაფართოების აუცილებლობის წინაშე დაგვაყენა. აღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე მიმდინარეობს ელექტრონული ტენდერი საბავშვო ბაღის საპროექტო სამუშაოების შესყიდვაზე. ქარიატაში მალე დაიწყება სამელიორაციო სამუშაოები, რაც გაუმჯობესებს საყანე მიწის ნაკვეთების ნაყოფიერებას და გაზრდის მოსავლიანობას. ასევე, მდინარე ხობზე მალე დაიწყება ნაპირდამცავი ნაგებობის მშენებლობა.

გაზაფხული ძალაში შევიდა. თქვენთან როგორ მიმდინარეობს მინდვრის სამუშაოები?

–აპრილი და მაისი ჩვენს მხარეში მოგეხსენებათ, თესვის საუკეთესო პერიოდია, ხვნა თესვის სამუშაოები ჩვენს სოფელში უკვე ინტენსიურად მიმდინარეობს. შპს „მექანიზატორი" თავისი ახალი ტექნიკით მაღალი ხარისხის მომსახურებას თავაზობს ფერმერებს. ხელს არაფერი გვიშლის, ამინდმაც თუ ხელი შეგვიწყო ფერმერები დროულად დაასრულებენ ხვნა-თესვის სეზონს.

ნანი კილასონია.

P.S. ქალბატონო ნანი, მინდა მადლობა გადაგიხადოთ იმისთვის, რომ დაინტერესდით ქარიატით. საშუალება მომეცით მესაუბრა სოფელში განხორციელებულ და მიმდინარე უმნიშვნელოვანეს პროექტებზე, ხელისუფლების და ადგილობრივი თვითმართველობის მიერ გაწეულ მუშაობაზე, ასევე სამომავლო გეგმებზე.

ბლიც-ინტერვიუ

„საკმარისია იყო კაცთმოყვარე...“

სახელი: ვლადიმერი.

გვარი: ქანთარია.

საქმიანობა: საკრებულოს ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე.

თქვენი წარსულის ერთი ლამაზი დღე?

–განვლილი ცხოვრება არ შეიძლება მარტო ერთი ლამაზი დღით შემოიფარგლოს, მაგრამ რადგანაც კითხვა ასეა დასმული აღვნიშნავ, რომ გავხდი ექიმი და ჩემმა შვილმა ჩემი პროფესია აირჩია.

რას ინატრებდით?

–ვინატრებდი რომ ჩემი სამშობლო, საქართველო იყოს ერთიანი და გამთლიანებული, რასაც მოუთმენლად ველოდები.

სურვილი, რომელიც ვერ აისრულეთ?

–აწგანსვენებული დედაჩემის და რა თქმა უნდა ჩემი სურვილიც იყო გავმხდარვიყავი მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, მაგრამ გარკვეული მიზეზების გამო სურვილი ვერ შევასრულე, სამაგიეროდ ჩემს კოლეგებს ორ ხობელ ახალგაზრდა ექიმებს და ერთ სენაკელს ხელი შევუწყვე იმაში, რომ ქ. კიევში დაეცვათ საკანდიდატო დისერტაციები.

ყველაზე მეტად რას არ ისურვებდით?

–ადამიანთა შორის მტრობას და ღალატს.

ვის გარეშეც ცხოვრება ვერ წარმოგიდგენიათ?

–რა თქმა უნდა შვილის, ოჯახის წევრების და სამშობლოს გარეშე.

თქვენი ყველაზე ძლიერი მხარე?

–ვარ ოპტიმისტი, მიზანმიმართული, კაცთმოყვარე, კეთილი, ამისთვის არ არის აუცილებელი იყო მდიდარი, საკმარისია იყო კაცთმოყვარე.

თქვენი ყველაზე უცნაური თვისება

–ყველა ადამიანს გააჩნია უცნაური თვისებები, მაგრამ ბევრი ამას საკუთარ თავში ვერ ხედავს, მე ვარ თვითკრიტიკული საკუთარი თავის მიმართ... შეფასებას საზოგადოებას მივანდობ.

რისი გჯერათ?

–მომავლის რწმენის, რომ ჩვენს ქვეყანაში ყველაფერი კარგად იქნება ახლო მომავალში.

რასაც არასოდეს გააკეთებდით?

–რაც ქრისტიანულ სამყაროში არ შეიძლება გააკეთო.

ადამიანში ყველაზე მნიშვნელოვანი ღირსება?

–პატიოსნება, ერთგულება, უანგარობა, კაცთმოყვარეობა.

ყველაზე მეტად რისი გეშინიათ?

–ღვთის რისხვის, ღალატის.

ფრაზა, რომელსაც ყოველდღიურ საუბარში ხშირად იყენებთ?

–გაგივლის, ნუ გეშინია.

რა უნდა გახსოვდეთ ამ ქვეყნად ყოველთვის?

–რომ ხარ ამ ქვეყნად უფლის გაჩენილი და აკეთო სიკეთე.

როგორ მოხვდით პოლიტიკაში?

–პოლიტიკაში 1989 წლის აპრილის მოვლენებიდან ვღებულობდი მონაწილეობას.

ვინ არიან თქვენი ოპონენტები?

–კეთილსინდისიერი და სამშობლოზე შეყვარებული ადამიანები.

ის, რაც ძალიან გინდათ იცოდეთ?

–ჩემი ქვეყნის რეალური მომავალი.

რითი ილამაზებთ ცხოვრებას?

–ყოველდღიურად კეთილი საქმეების კეთებით.

როგორი გინდათ დაგიმახსოვრონ?

–როგორიც ვარ, რომ მინდოდეს მაინც ვერ შევცვლი.

როცა უკან მოიხედავთ რას ხედავთ?

–ბევრ სამართლიან და ბევრ უსამართლო განვლილ ცხოვრებას, მაგრამ ცუდი მინდა დავივიწყო.

თქვენი ნება რომ იყოს, რას შეცვლიდით?

–შევცვლიდი ადამიანთა ცუდ ურთიერთდამოკიდებულებას, შურიანობას, ღალატს და მოვუწოდებდი მეტი სიყვარულისთვის.

რისი თქმაც ადრე გინდოდათ და დღეს ჩვენთან იტყვით:

–გვიყვარდეს ერთმანეთი.

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატი

ჩვენს მუნიციპალიტეტში

მერმა სამუშაო შეხვედრა გამართა

1 მაისს, ხობის მუნიციპალიტეტის მერი გოჩა ქაჯაია მერიის მოხელეებს და თვითმმართველობის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების თანამშრომლებს შეხვდა. შეხვედრას მერის პირველი მოადგილე ვარაზ გაბედავა და მოადგილე მახარე ჩოკორაია ესწრებოდნენ.

„30 აპრილს, ხობის მუნიციპალიტეტის საგვიჩიოს ადმინისტრაციულ ერთეულში აზიური ფაროსანას საწინააღმდეგო ქიმიური წამლობა დაიწყო. მაღალი გამავლობის ავტომობილზე დამონტაჟებული აპარატით, თერმული ნისლის ტექნოლოგიით დამუშავდა სოფლის ტერიტორია. ქიმიურ წამლობისარეალი და ვადა მონიტორინგის საფუძველზე განისაზღვრება. ამჟამად მიმდინარეობს ქიმიური დამუშავება იმ ფართობების, სადაც დამჭერებზე მავნებლის ზღვრული ოდენობა დაფიქსირდა. პარალელურად გრძელდება მონიტორინგი, რომლის შედეგებიც თავს იყრის აბაშის მუნიციპალიტეტში არსებულ საკოორდინაციო შტაბში.

სახელმწიფო პროგრამის შესაბამისად ჩვენს მუნიციპალიტეტში ერთი ტრაქტორი და 8 ერთეული მაღალი გამავლობის ავტომობილი იმუშავებს, მათ შორის–სამი ავტომობილი აღჭურვილია თერმული ნისლის აგრეგატით, ხოლო ხუთზე დამონტაჟებულია მცირემოცულობიანი შემასხურებელი ტექნიკა.

როგორც მოგეხსენებათ, პირველ მაისს ძალაში შევიდა „თამბაქოს კონტროლის შესახებ“ კანონის მუხლები. ცვლილების შესაბამისად განისაზღვრა ადგილები, სადაც აკრძალულია თამბაქოს მოწევა. ამავე პერიოდიდან მარტივდება დაჯარიმების წესი და უფლებამოსილი პირი (საზოგადოებრივ შენობებში პოლიციას, ტრანსპორტის შემთხვევებში შესაბამისი ადმინისტრაციებს, სამედიცინო დაწესებულებებში ჯანდაცვის სამინისტროს) ადგილზე შეუფარდებს ჯარიმას შესაბამის იურიდიულ თუ ფიზიკურ პირს.–აღნიშნა მერმა.

შეხვედრის დასასრულს მერმა სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებისგან და მერის წარმომადგენლებისგან სხვადასხვა საკითხებზე მოისმინა ინფორმაცია და მათ აქტიური მუშაობისკენ მოუწოდა.

ნუგზარ წურწუმია ევროპის პირველობის ბრინჯაოს პრიზიორია



დაღესტნის ქალაქ კასპიისკში მიმდინარე ევროპის ჩემპიონატზე წარმატებით იასპარეზა საქართველოს ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ნაკრების წევრმა ნუგზარ წურწუმიამ. ხობელმა ფალავანმა მესამე ადგილისთვის ბრძოლაში, რუსი ვასილი ტოპოევი დაამარცხა და საქართველოს პირველი მედალი მოუტანა.

ხობის მუნიციპალიტეტის მერია ულოცავს ნუგზარ წურწუმიას ამ მნიშვნელოვან გამარჯვებას საერთაშორისო ასპარეზზე.

გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ

1 მაისს ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრის სამუსიკო სკოლის დარბაზში გაიმართა მუსიკალური კონკურსი „ნორჩი პიანისტი“, სადაც მონაწილეობა მიიღეს სამუსიკო სკოლის სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფების მოსწავლეებმა. კონკურსის გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ სამახსოვრო საჩუქრებით.

მუსიკალურ ღონისძიებას, მოწვეულ სტუმრებთან ერთად, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე დოდო გაბუნია, მერიის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი როზეტა შულაია ესწრებოდნენ.

ევროპის იმუნიზაციის კვირეული

„ვაქცინები მოქმედებს! აცარი და დაიცავი!“

ხობის მუნიციპალიტეტის მერიის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი უერთდება ევროპის იმუნიზაციის კვირეულს.

იმუნიზაციის კვირეულის მიზანია საზოგადოების ცნობიერების ამაღლება იმუნიზაციის მნიშვნელობის შესახებ ადამიანის ჯანმრთელობისა და კეთილდღეობისთვის.

იმუნიზაციის შესახებ ინფორმირებულობის ამაღლების მიზნით ჯანდაცვის ცენტრის მიერ ტარდება საინფორმაციო ხასიათის შეხვედრები მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფებთან, საბავშვო დაწესებულების აღსაზრდელების მშობლებთან.

საქართველოში მოქმედებს პროფილაქტიკური იმუნიზაციის ეროვნული კალენდარი, რომლითაც გათვალისწინებუილია აცრები 12 ინფექციური გადამდები დაავადებების წინააღმდეგ. 0-დან 15 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის. პროფილაქტიკური აცრები ტარდება სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში. ის არის უფასო და ხელმისაწვდომია ჩვენი მოსახლეობისთვის.

„ბ“ ჰეპატიტი ინფექციური დაავადებაა. ვირუსი ორგანიზმში ხვდება დაზიანებული კანის და ლორწოვანი გარსის საშუალებით ინფიცირებულის სისხლთან ან ბიოლოგიურ სითხეებთან კონტაქტით. კერძოდ: სქესობრივი კონტაქტით, ინფიცირებული საზიარო შპრიცით, ნემსით, ინფიცირებული დედისგან (მშობიარობისას), ინფიცირებულის სისხლთან ან ღია ჭრილობასთან კონტაქტით. გართულებებია ღვიძლის ცეროზი ან კარცინომა.

„ბ“ ჰეპატიტისგან დასაცავად მშობლებმა თავინთ შვილებს ჩაუტარონ „ბ“ ჰეპატიტის საწინააღმდეგო აცრები!

დაბადებიდან 12 საათის განმავლობაში ახალშობილს აცრების ეროვნული კალენდრის შესაბამისად უკეთდება „ბ“ ჰ ეპატიტის ვაქცინა. შემდეგ 2,3 და 4 თვის ასაკში ბავშვს უკეთდება აცრა ჰექსავალენტური ვაქცინით, რომელიც შეივაცს „ბ“ ჰეპატიტის კომპონენტს.

პროფილაქტიკის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა ვაქცინაცია.

ტუბერკულოზი–მისი გამომწვევია ტუბერკულოზის მიკრობაქტერია, რომელიც უფრო ხშირად აზიანებს ფილტვებს, თუმცა ასევე შესაძლოა გამოიწვიოს სხვადასხვა ორგანოების (თირკმელი, ხერხემალი და თავის ტვინი) ინფექცია. სათანადო მკურნალობის გარეშე დაავადება შესაძლებელია დასრულდეს ფატალურად (სიკვდილით).

დაიცავით თქვენი შვილები ამ დაავადებისგან და სამშობიარო სახლში დაბადებიდან 0-5 დღის განმავლობაში ჩაუტარეთ ტუბერკლოზის საწინააღმდეგო აცრა.

დაავადების მძიმე ფორმების პროფილაქტიკის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა ვაქცინაცია.

პოლიომიელიტი-ძლიერ კონტაგიოზური და პოტენციურად ფატალური დაავადებაა, რომელიც არ ექვემდებარება მკურნალობას, ახასიათებს გართულებები თავის და ზურგის ტვინის პარესთეზია, მენინგიტი, კიდურების დამბლა. დაავადება აქტუალურია 5 წლამდე ასაკის ბავშვებში.

დაიცავით თქვენი შვილები და ჩაუტარეთ პოლიომიელიტის საწინააღმდეგო აცრები!

2-3 თვის ასაკში გაუკეთეთ ჰექსვალენტური ვაქცინა, რომელიც შეიცავს ინაქტივირებული პოლიომიელიტის კომპონენტს.

18 თვის და 5 წლის ასაკში ჩაუტარეთ აცრები პოლიომიელიტის ორალური ვაქცინით.

პროფილაქტიკის საუკეთესო საშუალებაა ვაქცინაცია.

დიფტერია–მისი გამომწვევია ბაქტერია, რომელიც სასუნთქ გზებში მოხვედრის შემდეგ გამოიმუშავებს ტოქსინს და იწვევს მწვავე დაავადებას, მისი სიმპტომებია; ზოგადი ინტოქსიკაცია, ხახის, ცხვირის, ხორხის, ტრაქეის ლორწოვანი გარსის ფიბროზული ანთება. ახასიათებს გართულებები, სუნთქვის უკმარისობა და შეჩერება, ლეტარული გამოსავალი დიფტერიისგან არის დიფტერიის საწინააღმდეგო ვაქცინაცია:

2, 3 და 4 თვის ასაკში გაუკეთეთ ჰექსავალენტური ვაქცინა, რომლის შემადგენლობაში შედის დიფტერიის კომპონენტი.

18 თვის ასაკში გაუკეთეთ დიფტერია-ყივანახველა-ტეტანუსის საწინააღმდეგო ვაქცინა.

5 წლის ასაკში გაუკეთეთ დიფტერია-ტეტანუსის ვაქცინა.

14 წლის ასაკში გაუკეთეთ ტეტანუს–დიფტერიის საწინააღმდეგო ვაქცინა.

ყივანახველა–რესპირატორული, ძლიერ კონტაგიოზური დაავადებაა, რომელიც მხოლოდ ადამიანში გვხვდება და განსაკუთრებით რთულად მიმდინარეობს ერთ წლამდე ასაკის ბავშვებში. სიმპტომებია, სურდო, დაბალი ტემპერატურა, პაროქსოზმული შეტევითი ხველა „წამოყივილებით“, ღებინება ხველის დროს ან შემდეგ, ძლიერი დაღლილობა.

2, 3 და 4 თვის ასაკში გაუკეთეთ ჰექსავალენტური ვაქცინა, რომელიც შეიცავს ყივანახველას არაუჯრედულ კომპონენტს;

18 თვის ასაკში გაუკეთეთ დიფტერია-ყივანახველა-ტეტანუსის საწინააღმდეგო ვაქცინა.

ტეტანუსი, გამომწვევია ტეტანუსის ბაქტერია, რომელიც ბინადრობს ცხოველების ფეკალიებში, ნიადაგში, მტვერში და ორგანიზმში ხვდება დაზიანებული კანის საფარველიდან, განსაკუთრებით საშიშია ნიადაგით ან ფეკალიებით გაბინძურებული ჭრილობა, ნაჩხვლეტი ჭრილობა, დამწვრობა, სიმპტომებია; თავის ტკივილი, ყბების სპაზმი, კუნთების (ხშირად მუცლის) დაჭიმულობა და მტკივნეულობა, ყლაპვის გაძნელება, ხველება, ოფლიანობა, გართულებებია ლარინგოსპაზმი, სუნთქვის გაძნელება, ფილტვის ემბოლია.

ჰემოფილუს ინფლუენცია ტიპი „ბ“ (ჰიბი)-ს გამომწვევით ძირითადად 5 წლამდე ასაკის ბავშვები ავადდებიან. გადაცემის გზები კონტაქტური, ასევე გადადის წვეთოვანი გზით ხველების ან ცემინების დროს.

ჰემოფილუს ინფლუენცა ტიპი „ბ“-ს ვაქცინით ბავშვების აცრა ტარდება 2, 3, 4, თვის ასაკში.

როტავირუსული ინფექცია ვირუსით გამოწვეული ძალზე კონტაგიოზური დაავადებაა, რომელიც შესაძლებელია გახდეს ჩვილებში და მცირეწლოვან ბავშვებში ჯანმრთელობის მდგომარეობის სერიოზული დარღვევის, ჰოსპიტალიზაციისა და ფატალური გამოსავლის მიზეზი. როტავირუსული ვაქცინით ბავშვის აცრა ტარდება 2, 3 თვის ასაკში.

პენეკმოკური ინფექციის გამომწვევია ბაქტერია პენევმოვიკი. ეს დაავადება განსაკუთრებით საშიშია მცირეწლოვან ბავშვებში. დაავადება ვრცელდება ინფიცირებულ პირთან უშუალო კონტაქტისას, ასევე წვეთოვანი გზით. ახასიათებს ცხელება, შემცივნება, ხველება, იწვევს პნევმონია, შუა ყურის ანთება, თავის და ზურგის ტვინის გარსების ანთება, მენინგიტი და სხვა.

პნეკმოკოკური ვაქცინით ბავშვების აცრა ტარდება 2, 3 და 12 თვის ასაკში სამჯერადად.

წითელას გამომწვევია ვირუსი, რომელიც მაღალი კონტაგიზურობით ხასიათდება. წითელა სახიფათოა ყველა ასაკში, მაგრამ 5 წლამდე და 20 წელზე უფროსი ასაკის პირებში შესაძლებელია გახდეს სერიოზული გართულებების მიზეზი. წითელა შედის წითელა, წითურა, ყბაყურას კომბინირებული ვაქცინის შემადგენლობაში. ამ ვაქცინით აცრა ნიშნავს ერთდროულად სამი ძალიან სერიოზული ბავშვთა დაავადებისგან მათ დაცვას. ამ ვაქცინით აცრები ტარდება ორჯერადად 1 წლის და 5 წლის ასაკში.

იმუნიზაცია ანუ მოსახლეობის ვაქცინაცია შესულია ყველა დროის სამედიცინო მიღწევათა ათეულში.

სახელმწიფო უზრუნველყოფს 12 ინფექციის–B ჰეპატიტის, ტუბერკულოზის, დიფტერიის, ყივანახველის, ტეტანუსის, პოლიომიელიტის, უბა-ყურას, წითურას, წითელას, როტავირუსული ინფექციის, პნევმოკოკური და ჰემოფილუს ინფლუენცა ტიპი „ბ“ საწინააღმდეგო ვაქცინაციას 10 ვაქცინის საშუალებით.

საქართველოში 0-დან 15 წლამდე ასაკის ბავშვების ვაქცინაცია ხორცილედება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის კანონისა და პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდრის შესაბამისად.

პროგრამული ვაქცინები უფასოა, ამ ვაქცინების ღირებულებას სრულად იფარება სახელმწიფო იმუნიზაციის პროგრამის ფარგლებში.

ხობის მუნიციპალიტეტის მერიის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი მუნიციპალიტეტის ყველა ტერიტორიულ სამედიცინო დაწესებულებას შეფერხების გარეშე სისტემატურად უზრუნველყოფს ასაცრელი ვაქცინებით.

დაწვრილებითი ინფორმაციისთვის მშობლებს, დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიმართონ ჯანდაცვის ცენტრს და შესაბამისი სასოფლ-საექიმო ამბულატორიებს.

ჯუმბერ ტურავა,

ხობის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორის მოადგილე–ექიმი პროფილაქტიკოსი.

ადგილების ჩამონათვალი, სადაც პირველი მაისიდან სიგარეტის მოწევა იკრძალება

„თამბაქოს კონტროლის შესახებ“ კანონი, 2018 წლის პირველი მაისიდან კიდევ უფრო მკაცრდება, რომლის მიხედვითაც, თამბაქოს მოწევა იკრძალება შენობა-ნაგებობებში.

წესების დამრღვევი დაწესებულება კი, პირველ ეტაპზე 500, ხოლოდ განმეორებით შემთხვევაში კი, 1000 ლარით დაჯარიმდება.

კანონის გამკაცრებიდან, ანუ პირველი მაისიდან სიგარეტს ვეღარ მოწევთ:

ნებისმიერი დანიშნულების შენობა-ნაგებობაში, რომელსაც აქვს იატაკი, სახურავი ან ჭერი; საზოგადოებრივ ტრანსპორტში (გარდა ტაქსისა და კატერის);

საგანმანათლებლო, სააღმზრდელო და საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებების, სხვა სასწავლო დაწესებულებების, ბიბლიოთეკების, მოსწავლე ახალგაზრდობის ბანაკების, ბავშვთა გასართობი ცენტრების და 18 წლამდე ასაკის პირებისთვის განკუთვნილი სხვა დაწესებულებების შენობა-ნაგებობებში;

სამედიცინო და ფარმაცევტული დაწესებულებების შენობა-ნაგებობებში და მათ საკუთრებაში არსებულ ტერიტორიებზე;

ბენზინგასამართი, გაზგასამართი და გაზგამანაწილებელი სადგურების, აგრეთვე იმ დაწესებულებათა შენობა-ნაგებობებში და მათ საკუთრებაში არსებულ ტერიტორიებზე, სადაც ცეცხლსაშიში ნივთიერებები ინახება.

ამავე კანონის მიხედვით, სიგარეტის მოწევა დასაშვებია:

ფიზიკური პირის საცხოვრებელ ადგილას;

თამბაქოს კვამლის შემსწავლელ სპეციალიზებულ ლაბორატორიულ დანადგარში;

პენიტენციურ დაწესებულებაში, სადაც მოწევის პირობებს განსაზღვრავს შესაბამისი მინისტრი;

წინასწარი დაკავების იზოლატორში;

კანონის შესაბამისად გაცემული ნებართვის საფუძველზე მოწყობილ სიგარაბარში;

სამორინეში;

აეროპორტის სატრანზიტო ზონაში სპეციალურად გამოყოფილ მოსაწევ ოთახში;

“თამბაქოს შესახებ კანონი“ პარლამენტმა მესამე მოსმენით გასულ წელს მიიღო. აღნიშნულ კანონშივე აღნიშნულია, რომ სიგარეტის მოწევა 2020 წლიდან სტადიონზეც აიკრძალება

საშური საქმე

ერთად ვებრძოლოთ აზიურ ფაროსანას

საქართველოს ეკონომიკისთვის სერიოზული გამოწვევაა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მავნებელი მწერის აზიური ფაროსანას შემოსვლით და გავრცელებით გამოწვეული უარყოფითი შედეგების აღმოფხვრა. აზიური ფაროსანას პრობლემის რეგულირება შესაძლებელია მხოლოდ სახელმწიფოსა და მოსახლეობის მხრიდან მავნებლის წინააღმდეგ ბრძოლის ერთობლივი ღონისძიებების აქტიურად განხორციელებით.

აზიური ფაროსანას წინააღმდეგ შეიქმნა ბრძოლის სახელმწიფო პროგრამა, რომლის განხორციელება უზრუნველყოფს სასოფლო-სამეურნეო და სატყეო კულტურებზე მავნებლის მიერ მიყენებული შესაძლო ზიანის მინიმიზაციას და მავნებლის პოპულაციის კონტროლირებად ზღვარზე მართვას.

პროგრამა შექმნილია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო სააგენტოს (USAID), ევროკავშირის ყოვლისმომცველი ინსტიტუციური განვითარების პროგრამის (EU CIB) ხელშეწყობით. პროგრამაში გათვალისწინებულია ქართველი და უცხოელი მეცნიერი და პრაქტიკოსი მცენარეთა დამცველების და ენტომოლოგების რეკომენდაციები.

აღნიშნული პროგრამა ემყარება და მოიცავს შემდეგ ძირითად მიმართულებებს: **აქტიურ საინფორმაციო კამპანიას–** სახელმწიფო უზრუნველყოფს მოსახლეობის დროულ და სრულ ინფორმირებულობას მავნებლის ბიოლოგიის, მის წინააღმდეგ დაგეგმილი და განხორციელებული ღონისძიებების, გარემოს დაცვისა და უსაფრთხოების დაცვის შესახებ. სახელმწიფო მოსახლეობას აძლევს რეკომენდაციებს აზიურ ფაროსანასთან ბრძოლისთვის აუცილებელი პრეპარატების, მექანიკური საშუალებებისა და ტექნიკის გამოყენების შესახებ.

სრულმასშტაბიან მონიტორინგს –მონიტორინგის სისტემა უზრუნველყოფს აზიური ფაროსანას გავრცელების არეალის, გადაადგილების მარშრუტის და ინტენსივობის დადგენას, სათანადო რეაგირებას და საპასუხო ღონისძიებების ოპტიმიზაციას.

მავნებლის საწინააღმდეგო ღონისძიებებს (ქიმიური წამლობას)–წარმოდგენილი პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო განახორციელებს, როგორც სახელმწიფო ასევე კერძო საკუთრებაში არსებული ინვაზიის მაღალი რისკის მქონე ტერიტორიების დამუშავებას . დამუშავდება ქუჩები, სიმინდის ნათესი მასივები, ტყისპირები, დაუსახლებელი ადგილები, ქარსაფარი ზოლები, მოსახლეობის საკარმიდამო ნაკვეთების მიმდებარე ტერიტორიები. საჭიროების შემთხვევაში გამოყენებული იქნება მსუბუქი საავიაციო ტექნიკა შესაბამისი გარემოს დაცვითი ნორმებისა და უსაფრთხოების ზომების დაცვით. მოსახლეობამ კი დროულად უნდა ჩაატაროს ბრძოლის ღონისძიებები (მექანიკური, ქიმიური) საკუთარ საკარმიდამო მიწის ნაკვეთებზე, რაც შეამცირებს აზიური ფაროსანას სასოფლო-სამეურნეო კულტურებზე მიყენებულ ზიანს და მავნებლის გავრცელების რისკებს.

სამეცნიერო–კვლევით სამუშაოებს–რომელიც მიზნად ისახავს საქართველოს პირობებში აზიური ფაროსანას ბიოლოგიის შესწავლას, მისი ბიოლოგიური მტრების გამოვლენას, მათი გამოყენების შესაძლებლობას და მიზანშეწონილობას, მონიტორინგისა და მცენარეთა დაცვის სხვადასხვა, მათ შორის ბიოლოგიური საშუალებების ეფექტიანობის შესწავლას.

მიმდინარე წელს, ქვეყნის მასშტაბით, მავნებლის საწინააღმდეგო ღონისძიებებისათვის ახალი ტექნიკა იქნა შეძენილი, სულ 150-ზე მეტი ერთეული სპეციალური ტექნიკის გამოყენებაა დაგეგმილი. წელს მავნებლის წინააღმდეგ სახელმწიფო ღონისძიებებს განახორციელებს სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ ტერიტორიებზე, ასევე კერძო სავარგულებზე, სადაც აუცილებელია სპეციალიზირებული ტექნიკის გამოყენება.

აზიური ფაროსანას საწინააღმდეგო კამპანია აქტიურ ფაზაში გადავიდა, დასავლეთ საქართველოში უკვე ფუნქციონირებს საკოორდინაციო შტაბი. მიმდინარე წელს გაზრდილია ფიტოსანიტარული შესაძლებლობები, რისთვისაც სახელმწიფომ მნიშვნელოვანი ფინანსური რესურსი გამოყო. 150 -ზე მეტი ეკიპაჟი იმუშავებს იმისათვის, რომ ღონისძიებები იყოს მაქსიმალურად ეფექტიანი. ყველა ინფორმაცია თავს იყრის შტაბში და დამუშავების შემდეგ იგეგმება საველე სამუშაოები. დასავლეთ საქართველოში ფუნქციონირებს 5 საველე შტაბი, რომელთაც კოორდინაციას გაუწევს აბაშის მუნიციპალიტეტში არსებული საკოორდინაციო შტაბი.

აზიურ ფაროსანასთან ბრძოლის სახელმწიფო პროგრამის შესაბამისად ხობის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში ერთი ტრაქტორი და 8 ერთეული მაღალი გამავლობის ავტომობილი იმუშავებს, მათ შორის-ხუთი ავტომობილი აღჭურვილია თერმული ნისლის აგრეგატით, ხოლო სამზე დამონტაჟებულია მცირემოცულობიანი შემასხურებელი ტექნიკა.

ადმინისტრაციულ ერთეულებში მონიტორინგის მიზნით დამონტაჟდა 158 ფერომონი, ხოლო საკარმიდამო მიწის ნაკვეთების შესაწამლად დარიგებულია ბიფეტრინის შემცველი პრეპარატები ფერემონებთან ერთად.

საქართველოს პარლამენტის წევრი, ხობის მაჟორიტარი დეპუტატი ირაკლი (დაჩი) ბერაია, ხობის მუნიციპალიტეტის მერი, გოჩა ქაჯაია და საკრებულოს თავმჯდომარე, ედიშერ ჯობავა, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხობის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის თანამშრომლებთან ერთად ადმინისტრაციული ერთეულების მოსახლეობასთან აწყობენ შეხვედრებს. მოსახლეობას მიეწოდება ინფორმაციები ფაროსანას წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების ფარგლებში სახელმწიფო პროგრამის მიმდინარეობის, მავნებლის განადგურების მექანიკური ხერხებისა და შესაწამლი პრეპარატების გამოყენების წესის შესახებ.

<u>აზიური ფაროსანას ბიოლოგია და გავრცელება</u>

აზიური ფაროსანა (ნახევრადხეშეშფრთიანები) არის მავნებელი მწერი, რომლის გავრცელების ბუნებრივი არეალია აღმოსავლეთ აზიის ქვეყნები: იაპონია, ჩინეთი, კორეა. 2000-იან წლებში აზიური ფაროსანა გავრცელდა ევროპის ქვეყნებში (შვეიცარია, იტალია, ავსტრია, რუსეთი და ა.შ) მავნებელი საქართველოში 2016 წელს გავრცელდა დასავლეთ საქართველოში და სასოფლო-სამეურნეო კულტურები დააზიანა.

აზიური ფაროსანა აზიანებს ხეხილოვან, კენკროვან და ბოსტნეულ კულტურებს. მავნებლის ძლიერი გავრცელების დროს მოსავლის დანაკარგებმა შესაძლოა 70%-ს მიაღწიოს.

აზიური ფაროსანა გაზაფხულზე–აპრილის ბოლოს, მაისის დასაწყისიდან მცენარეზე სახლდება და მავნეობას გვიან შემოდგომამდე აგრძელებს. მავნებელი იკვებება ფოთლის, ყლორტისა და ნაყოფის წვენით. ფაროსანა ხორთუმის მეშვეობით ხვრეტს ახალშემოსული თხილის ნაჭუჭს, ათხელებს ნაყოფის შიგთავსს და წარმოქმნის კორპისებრ ლპობად ლაქებს.

ფაროსანას მიერ დაზიანებული ხეხილის ნაყოფი დეფორმირდება, დაზიანების ადგილებში ვითარდება ყავისფერი ლაქები და ხილი საკვებად გამოუსადეგარი ხდება.

აზიური ფაროსანა მცენარეზე სახლობს ადრე გაზაფხულიდან გვიან შემოდგომამდე. მავნებელი იკვებება ფოთლის, ყლორტისა და ნაყოფის წვენით, უპირატესობას ანიჭებს ნაყოფს, რომელსაც მჩხვლეტავ-მწუწნავი პირის აპარატით ძლიერ აზიანებს.

იზამთრებს საცხოვრებელ სახლებში, ცხოველთა სადგომებში, ფარდულებში, სხვენზე, კარისა და ფანჯრის ღრიჭოებში; ასევე ბაღებსა და ტყეში ჩამოცვენილი სქელი ფენის ქვეშ და ხეების ფუღუროებში.

აზიური ფაროსანა სითბოს მოყვარული მწერია. ხელსაყრელი კლიმატური პირობების დადგომისთანავე (განვითარების ოპტიმალური ტემპერატურაა 15-33 გრადუსი) ადრე გაზაფხულზე ეტაპობრივად გამოდის გამოზამთრების ადგილებიდან. გადადის მცენარეებზე და იწებს კვებას.

მაის-ივნისში მდედრი ფაროსანა დებს კვერცხებს ფოთლის ქვედა მხარეზე. კვერცხი თეთრი ფერისაა და გამოჩეკის წინ ოქროსფერ შეფერილობას იღებს. მავნებელი სულ 200-250-მდე კვერცხს დებს, ხოლო კვერცხდების ერთ კერაში 28-30 კვერცხია. კვერცხდებიდან 4-5 დღეში იჩეკებიან მოწითალო ნიმფები (მატლები), რომლებიც ფერს თანდათან იცვლიან (მეორე ასაკში მოშავო, ხოლო შემდგომ მოყავისფრო ხდებიან) 5 ასაკის გავლის შემდეგ გადაიქცევიან ზრდასრულ ფრთიან მავნებლად–იმაგოდ. ფაროსანა ნიმფის ფაზაში, დაფრთიანებამდე 50-55 დღე იმყოფება და ამ პერიოდში შეწამვლა ყველაზე ეფექტიანია.

<u>როდის და რა პერიოდულობით უნდა ჩატარდეს წამლობა.</u>

მნიშვნელოვანია, რომ მასპინძელ მცენარეებზე ინტენსიური დაკვირვება და მონიტორინგი ნარგავებსა და ბაღებში დაიწყოს, მაშინ როცა დღეღამური საშუალო ტემპერატურა 150 C მიაღწევს.

მავნებლის ინტენსიური გავრცელების კერებში უნდა ჩატარდეს ქიმიური წამლობა, რომელიც ეფექტიანია როცა მავნებელი ნიმფის ფაზაშია. წამლობის ზუსტი დრო განისაზღვრება მონიტორინგის საშუალებით შეგროვებული ინფორმაციის დამუშავების საფუძველზე.

პირველი წამლობა ტარდება გამოზამთრებიდან გამოსული იმაგოების წინააღმდეგ კოლხეთის დაბლობზე - მაისში. ინსექტიციდების (ქიმიური ნივთიერებები) შესხურება ძირითადად ტარდება თხილნარებში, რადგან ამ პერიოდისთვის მავნებელი უპირატესად ამ კულტურაზეა დასახლებული.

მეორე წამლობა ტარდება ნიმფების მასიური გამოჩეკვის შემდეგ, კოლხეთის დაბლობზე - მაისის ბოლოს–ივნისის დასაწყისში. ინსექტიციდების შესხურება ძირითადად ტარდება თხილნარებში, ამავე პერიოდში ტარდება წამლობა ხეხილოვან და ბოსტნეულ კულტურებზეც.

მესამე წამლობა ტარდება სიმინდის და სხვა ნათესებში (სოიო, ლობიო) გავრცელებულ მავნებლებზე ივლისში;

შემდეგი წამლობები ტარდება საჭიროების მიხედვით სიმინდის ნათესებსა და ციტრუსის ბაღებში.

<u>რა სახის პრეპარატებია რეკომენდირებული</u>

ქიმიური წამლობა უნდა ჩატარდეს პრეპარატების გამოყენების წესებისა და ლოდინის პერიოდის მკაცრი დაცვით. მავნებლის წინააღმდეგ გამოიყენება საქართველოში რეგისტრირებული სინთეზური პირეტროიდებისა და ნეონიკოტინოიდების ჯგუფის ინსექტიციდები. მათ შორის, სხვა ქვეყნების გამოცდილებით რეკომენდირებულია ბიფეტრინის შემცველი შემდეგი პრეპარატები: **ტალსტარი, ზონდერი, ინსაკარი, ბატალიონი, თეიქოფი, კურა-კურა და ხაბლა.** პრეპარატების ხარჯვის ნორმაა 0.3-0.6 ლიტრი ჰექტარზე.

პრეპარატი მწერის ორგანიზმში მოხვედრისას (კონტაქტური ან ორალური გზით) მოქმედებს მავნებლის ნერვულ სისტემაზე, არღვევს ნერვული სისტემის გამტარიანობას, რის შედეგადაც მწერი პარალიზდება და საბოლოოდ კვდება. დაცვითი მოქმედების ეფექტია 10-14 დღე.

წამლობა უნდა ჩატარდეს დილის საათებში, როდესაც ჰაერის ტემპერატურა შედარებით დაბალია. დაუშვებელია სამუშაოების ჩატარება ქარიან ამინდში.

აღნიშნული პრეპარატების გამოყენება არ შეიძლება საცხოვრებელ სახლებში, დახურულ სივრცეში და დასაშვებია მხოლოდ ღია სივრცეში სასოფლო-სამეურნეო კულტურებზე.

ასევე შესაძლებელია ბიოლოგიური პრეპარატების (ინსექტიციდების) გამოყენებაც

1. ნოსტალჯისტი–ხარჯვის ნორმა: 6 ლიტრი ჰექტარზე. თხილზე რეკომენდირებულია 3-4 შესხურება მცენარის ზრდის პროცესში, მავნებლის ნიმფების გამოჩენისთანავე.

2. ბიონსექტი - ხარჯვის ნორმა: 6 ლ/ ჰა-ზე ნიმფების წინააღმდეგ და 12 ლ/ჰა-ზე იმაგოს წინააღმდეგ–რეკომენდირებულია 3 შესხურება 7 დღიანი ინტერვალით თხილის სიმწიფისა და სიმინდის რძისებრ-ცვილისებრი სიმწიფის პერიოდში.

საცხოვრებელი სახლების, ასევე სხვა შენობების გარე პერიმეტრზე (ვერანდა, გარე კედელი) სინათლეზე და სითბოზე მოზიდული ფაროსანა შესაძლებელია გავანადგუროთ ბიოლოგიური ინსექტიციდების შესხურებით.

<u>როგორ მოვამზადოთ წყალხსნარი ნარგავებისა და ნათესების დასამუშავებლად</u>

იმისათვის, რომ ჩატარებული

8

ხობის მუნიციპალიტეტის მერია და საკრებულო მწუხარებას გამოთქვამენ სოფელ თორსა-დღვაბის ყოფილი გამგებლის, პირველი მოწვევის საკრებულოს წევრის, ღვაწლმოსილი მუშაკის

მედეა ლატარიას

გარდაცვალების გამო და უსამძიმრებენ გარდაცვლილის ოჯახს.

გოგი ბუკია გამახსენდა...

„არავინ ცოცხლობს, ვინც არ მომკვდარა...“

(სახარებისეული შეგონება)

ხობის რაიონული გაზეთის რედაქციის წინ მეგობრებთან მდგარი, ნასვამ- შეზარხოშებული გოგი ბუკია სერგო „ბერდენას“ რაღაცას ეხუმრებოდა, ამ დროს ერთმა ბიჭმა „კოკა-კოლას“ ცარიელი ბოთლი მოისროლა, გააჩერა ის ახალგაზრდა გოგიმ, აიღო ცარიელი ბოთლი და უთხრა, არასდროს გაიმეტო ცარიელი ჭურჭელი გადასაგდებად ის ცითაა სავსე, ჩემო ლამაზო კაცო, ცა კი–სამოთხის კარიბჭეა, იქ ჩვენი წმინდანები და ღირსეული მიცვალებულები არსობენო. გაოგნდა ის ახალგაზრდა, უხერხულობისგან შეიშმუშნა, გამოართვა ბოთლი და ჩქარი ნაბიჯებით გასცილდა მისკენ მომზირალ, მოულოდნელობით არანაკლებ გაოცებულ თვალებს. იმისა არ ვიცი, მაგრამ უკრაინელი პოეტის, ივან დრაჩის: „ბოთლი სავსეა ცით“- სიტყვების გოგისეული ინტერპრეტირება სამარეში ჩამყვება, ასეთი იყო ეს გასაოცარი კაცი, ვისთანაც საუბარი, ქეიფი და დროსტარება ერთ რამედ ღირდა. შემოქმედებითი და იმპროვიზირების უნიკალური ნიჭით დაჯილდოებული, სიმღერის დიდებულად შემძლები, სადღეგრძელოთა პოეტური სამკაულებით შემმკობი–დიდებული თამადა გახლდათ. იუმორითა და ენაკვიმატობით გახასხასებული მისი საუბარი დამატყვევებლად მოქმედებდა მსმენელზე და განსაკუთრებულ ხიბლსაც აძლევდა მისი დარდიმანდული ცხოვრების სტილს. თითქოს ამისთვის იყო გაჩენილი, თითქოსდა ასე გულმახარად სიარული განგებისად დაებედებინა მისთვის გამჩენს.

პროფესიით ჟურნალისტი, განათლებული და ნაკითხი, დიდებული რედაქტორი და პუბლიცისტი, ტკბილმოუბარი მოქართულე მთელ თავის ნიჭიერებასა და შესაძლებლობით ძალისხმევას, ზეპირ, ცოცხალ საუბრებსა და მონოლოგებში ხარჯავდა. რამდენადაც ნიჭიერი გახლდათ, იმდენად გაურბოდა საწერ მაგიდას და მშვიდად მუშაობას. ის ფორიაქის კაცი გახლდათ, მოუსვენარი და დაუღლელი. მახსოვს ხელი- ხელ საგოგმანებლად დაჰქონდათ მისი ბრწყინვალე ესსე პავლე ინგოროყვაზე, მხატვრულ- დოკუმენტური სისავსით გაჯერებული წერილი თედო სახოკიაზე, ასევე ძალიან კარგი მიმოხილვა ახალგაზრდა პოეტებისა და ასეთ დიდებულ ნიმუშთა ავტორი გაურბოდა საკუთარ თავს და სხვათა სიყვარულსა და მოფერებაში იღვენთებოდა სანთელივით.

იშვიათად შეხვდებოდით მსგავს ენამჭევრ და შინაგანი გზნებით მოსაუბრეს, ისეთი მოხდენილი კომპოზიტებითა და შედარებებით მოუბრობდა, არ შეიძლებოდა მისით არ მოხიბლულიყავი. უბრალო და აბსოლუტურად ჩვეულებრივ ცხოვრებისეულ ეპიზოდებს იგეთი ჟესტიკულირებითა და მისადაგებული, მდიდარი ლექსიკით გადმოსცემდა და დახატავდა, რომ მეტად მნიშვნელოვანსა და ყურადსაღებს გახდიდა.

ჩემი პირველი კრებულის „გზა“-ს გამოცემის აღსანიშნავ ბანკეტზე თამადა გახლდათ და დღესაც ყურში ჩამესმის მისი ორიგინალური ხედვებისა და შინაგანი კულტურით გაჯერებული ლიტერატურული შეფასებების ნაკადული. ასევე მზესხივილა სადღეგრძელოები, ამოჩემებული გრანელის ფრაზები: ‘ხიდან ხეზე გადაფრინდა ჩიტი, გაზაფხულის საღამოა მშვიდი...“ და: „გალაკტიონში არის დემონი, და ჩემში უფრო ანგელოზია...”

მალევე დავმეგობრდით, პოეზია და საერთოდ მწერლობა გახდა ჩვენი ურთიერთობის წმინდა საფანელი. გოგლა ლეონიძე უყვარდა განსაკუთრებით, მის მიერ წაკითხულ „ყივთჩაღის პაემანს“ სხვა მშვენიერება ახლდა. ისე უყვარდა ეს ლექსი, გეგონებოდათ მის ძარღვიან სტრიქონებსა და უნიკალურ ალიტერაციაში ედო ბინა და სულის სასვენისი. მისი შთაგონებით შეიქმნა ჩემი ლექსიც–„ყივჩაღური“, რომელიც ასევე ძალიან მოსწონდა და რაღაცნაირი მგზნებარებით კითხულობდა ხოლმე.

გულდარიანი კაცი იყო... სიკეთისა და სიყვარულის უშურველად გამღები და დამრიგებელი. გოგის ქარიშხლიან და ბიჭემურ უსასრულობებს მისი ცხოვრების უღალატო თანამგზავრი და სიყვარული–ნანი ედებოდა მტლად, ხუმრობდა: ჯერ ხომ დედაჩემი მოვინელე, ახლა ნანის ჯერიაო.–მათ ცოლ-ქმრულ სიყვარულსა და განსაკუთრებულ ურთიერთობებზე ლეგენდები დადიოდა ჩვენს პატარა ქალაქში. როგორ „გაფრენებსა და სიგიჟეებს“ სჩადიოდა ჯერ შეყვარებული, შემდგომ კი დაქორწინებული გოგი თავისი გულისწორის გასახარებლად და თავმოსაწონებლად. ყველაზე ბედნიერი მაინც თავისი უმრწემესი ვაჟის დაბადებით იყო, როცა მივულოცე, მისეული ხიბლიანი ღიმილით ჩემივე ლექსის სტრიქონით მითხრა: „აი, დაიწყო გაზაფხული, მოვიდა ია...“

წავიდა და დაამწუხრა უამრავი ადამიანი, მარადიულ სევდაში გაახვია ოჯახი, და-ძმა და ყველა ის მოგულტკივილე, ვისთვისაც გოგი ბუკია სიყვარული, სიკეთე და ენით გამოუთქმელი იმედი იყო...

სიცოცხლის ბოლო ჟამს ხშირად ვსტუმრობდი ჩვენს დიდებულ პოეტსა და საყვარელ ადამიანს–ლაშა გახარიას. უკურნებელი სენით დაუძლურებულს არ შორდებოდნენ თანამოკალმეები და უღალატო მეგობრები: ქალბატონი ლია ნაროუშვილი, ბატონები კოტე ნაჭყებია და ერეკლე საღლიანი, ასევე ცნობილი მწერალი და მთარგმნელი, კიპლინგის გადმომქართულებელი ედიშერ გიორგაძე, ამ უკანასკნელთან და დათო შამუგიასთან ერთად ვესტუმრე ერთხელაც ლაშას, პოეზიასა და მწერლობაზე გულმოჯერების შემდგომ, დაუძლურებულმა ლაშამ ნაღვლიანი თვალებით შემოგვხედა და მითხრა: იცი რა მენატრება, ჯიმა, მეგრული ტრადიციული სუფრა გოგი ბუკიას თამადობით, ეჰ რა დრო გვქონდა, როგორ ვბედნიერობდითო...–მერე, როცა მოგონებებს თავი დააღწია, მკითხა, გოგისთან ნარდი გითამაშიაო,–არა, მაგრამ მიცქერია მეთქი. ოო, მაგარი თამაში იცოდაო.–მართალს ბრძანებდა, კი არ თამაშობდა მხოლოდ, ზეიმობდა კიდეც...

დაიწყებდა თამაშს, „მოხარჭავდა“ კამათელს სანამ გააგორებდა, ხან რას მიაყოლებდა და ხან რას:–„რა ქნას კარგმა მონარდემა დროზე შაში თუ არ მოვა...“

–„დუ-იაქე, შაში-ბეში

სკანჯგუა ბოში სოთინ ვეში...“

–„სე იაქე, დორი-ჩარი-არ დახურო შაშის კარი...“ და უამრავი მისთანანი...

იცხოვრა ისე, როგორც მის მრავლისდამტევ გულს გაუხარდებოდა, სიყვარულად ჩახჩახებდა და სიყვარულით წავიდა. გულიანი კაცი იყო და გულმა უმტყუნა. აკი ხუმრობდა კიდეც: გულიან კაცს გული უნდა სტკიოდეს, უკანალი კი არაო!

სიმღერითა და ხუმრობით წავიდა და ასეთად დარჩება ყველას ცნობიერებაში- გოგი ბუკია: სიყვარულის, სიკეთის, სიმღერისა და ლექსის კაცი...

გაჩახჩახებული ქართველი და ღიმილჩაუქრობი კოლხი...

ნათელი დაგადგეს, კარგო ადამიანო, ჩვენო თბილმზერიანო, დაუვიწყარო მეგობარო!..

სიყვარულით
ლაშა გვასალია

სულთითანა

შორენა ჭანტურია

შორენა ჭანტურიამ 56 წლის ასაკში დატოვა წუთისოფელი... იგი იყო დედა-ბოძი და ოჯახის ბურჯი ქალი, მზრუნველი და თავგამოდებული დედა. რომელიც გამრჯე შრომით, დაუღალავი ენერგიით, დღითი-დღე ძლიერდებოდა. მეუღლე პოლმირა ჭანტურიასთან ერთად უკეთესი ცხოვრებისთვის შრომობდა.

ძნელია უშენოდ 40 დღე... გაუსაძლისია როცა დედა, რომელიც კარს ვერ შემოაღებს და ხელდამშვენებული ოჯახში არ შემოვა, არ გაგვახალისებს სიახლეებით.

დრო მკურნალიაო, მაგრამ ვისთვის, როგორ?

დედა! თავს ვაძლევ უფლებას, გიწოდო ეს სახელი. შენი რჩეული რძალი, მეუღლე ერთადერთი ვაჟიშვილი დიმასი–მედეა ბედიაჭანტურია. შვილად მიმიღე, ზოია და თამაზ ბედიების ოჯახში აღზრდილი... მშობელმა დედამ, შენსავით უდროოდ დამტოვა და თქვენ იცოდით უდედოდ ცხოვრება ძალიან გამიჭირდებოდა და მის მაგივრობას მიწევდით.

დედის სიყვარულს ვერავინ შეცვლისო, ასე არ ყოფილა, იმ დღიდან მე, უდედოდ ყოფნა არ მიგვრძვნია. გამზარდე, შემაყვარე შრომა, მასწავლე ოჯახური ცხოვრება. ჩემი შვილები ნიკა და ზოსიმე დამიკვალიანე. ოჯახი მეტ გარჯას მოითხოვდა, თვითონ გადაწყვიტე, რომ აგეწყო პატარა ოჯახური ბიზნესი, შინ და გარეთ ყველგან და ყველაფერს თავს ართმევდი ოჯახთან ერთად. თავს ძალას ატანდი, რომ მეტი გეშრომა, ენერგიას არ ზოგავდი განურჩელად რა სახის სამუშაოც არ ყოფილიყო.

ყველას დამხმარე და ქველმოქმედი იყავი.

დედობრივი სიყვარული და თანაგრძნობა არ დაგიკლია ინგა და მაიასთვის, მიიღე ისინი საკუთარ შვილებად დიმასთან ერთად.

საშინელი მწუხარება და ტკივილი შეახსენე დისა და ძმის ოჯახებს, შენ ხომ ძმის დამკარგავი და იყავი. მწარედ განიცდიან და წუხილს გამოთქვამენ შენი ახლობლები და კარის მეზობლები, ანუგეშებენ ოჯახს.

შენთვის დღეები მიილია, ავადმყოფობდი, მაგრამ არ იმჩნევდი, ჩვენი არ გჯეროდა, აქეთ გვამშვიდებდი, თვითმკურნალობდი. უეცრად ავად გახდი, ავადმყოფობა მოგერია. დამღუპველმა სენმა გადარჩენის შანსი არ მოგცა, ვერც ექიმების დახმარებამ გიშველა...

დედა, რომელი ერთი გავიხსენო, ახლაც ყურში ჩამესმის ტელეფონში ნათქვამი შენი სიტყვები: „რა გინდათ, რა მოგიტანოთ“. ჩვენ არაფერი გვაკლდა, გარდა შენი სიცოცხლისა. შიში არ იყო ხვალინდელი დღისა. უშენოდ რა გავაკეთოთ? შენი მომავალი გეგმა ხომ შვილიშვილების სწავლა-განათლება და მათ ნათელ მომავალზე ზრუნვა იყო.

დედა, ჩვენ ერთმანეთის მესაიდუმლე ვიყავით, შენთვის თანაგრძნობა და მეტი სიყვარული რომ გამომეჩინა, ვიყავ ოჯახში დაუღლელი, ვაკეთებდი და ვასრულებდი ყველა საქმეს, როგორც შენ გაგიხარდებოდა, როგორც ამას სოფლის ოჯახი მოითხოვდა.

ვიცი შენი გულის ფიქრი, ოცნება, ამას სიურპრიზად ვიტოვებ, ვეცდები ყველაფერი შეგისრულო. დაგვიტოვე კეთილმოწყობილი ოჯახი, სახლ-კარი დამშვენებული ბაღითა და ხეხილით. პატარა „მამული“ სოფლისა.

მადლობა ყველაფრისთვის, ჩვენი ნამდვილი დედა-შვილობისთვის.

ღმერთს ვთხოვ, იყო სამოთხეში და კურთხეულიყოს ის მიწა-საფლავი, სადაც განისვენებ.

მე ჩემს შვილებთან ერთად ხშირად მოგიტან ლამაზ ყვავილებს, დაგინთებ წმინდა სანთლებს შენი კეთილი სულის მოსახსენებლად.

რძალი
მედეა ბედია–ჭანტურია.
ზემო ქვალონი.

ბესიკ გვარამია

ბესიკ, შენ კარგად იცი, როგორი გაუსაძლისია შენი წასვლა ამ ქვეყნიდან შენი შვილებისთვის, დედისთვის, დისთვის და ყველა შენიანისთვის. რადგანაც მათ მრავალი უდიდესი ტკივილი შენამდე უკვე განიცადეს. ჯერ იყო და მამა დაკარგე, მერე და, მეუღლე... შენი ასე მოულოდნელი წასვლით კი შენებს ტკივილზე უდიდესი ტკივილი დაუმატე.

ჩემო კარგო, შენთვის გულის ტკენა არ მინდოდა, მაგრამ ასე გამოვიდა. ვიცი ამ ქვეყნიდან წასვლა არ იყო დამოკიდებული შენზე, ასე ინება განგებამ. ადამიანები ემორჩილებიან მას. ბესიკ, შენ საუკეთესო შვილი, ქმარი და მამა იყავი.

ძალიან კარგი მეგობარი, ძმისშვილი, დისშვილი, ბიძაშვილი, მამიდაშვილი, დეიდაშვილი, ნათესავი და მეზობელი. ამიტომაც შენს გასვენებაზე ცრემლების წვიმა იფრქვეოდა, უამრავი სტუმარი გყავდა. ყველა წუხდა, რადგანაც შენ ძალიან, ძალიან კარგი ადამიანი იყავი, წესიერი, კეთილშობილი, მოსიყვარულე...

ვწუხვარ, რომ შენზე გამოსათხოვარის დაწერა მიწევს. მინდა როგორც აქ, იქაც კარგად გრძნობდე თავს. იქ შენ ძალიან, ძალიან ბევრი საუკეთესო ადამიანი დაგხვდება, ისინი მიგაჩვევენ იქ ყოფნას, გაგამხნევებენ და ბევრ სიახლეს შეგაჩვევენ. ვიცი, გოგისაც ნახავ, მომიკითხე და ჩვენზე მოუყევი...

ბესიკ, როგორც კარგ ადამიანს, მოსიყვარულეს, მჯერა ღვთის წყალობა გექნება... გთხოვ, დედაშენს სულის სიმხნევე, ჯანმრთელობა და უშენოდ სიცოცხლე შთააგონე.. შვილები დამოძღვრე..

თბილი იყოს შენთვის განსასვენებელი... ნათელში იყოს შენი ლამაზი სული.

ნანი კილასონია.

საშური საქმე

6

ერთად ვებრძოლოთ აზიურ ფაროსანას

წამლობა იყოს ეფექტიანი, ანუ დასამუშავებელ ფართობზე შეტანილ იქნეს პრეპარატის საჰექტარო ნორმა, საჭიროა ვიცოდეთ, რამდენ წყალს დახარჯავს შესაწამლი აპარატი 1 ჰექტარ ფართობზე. ეს მაჩვენებელი სხვადასხვა აპარატისთვის სხვადასხვაა:

მექანიკური ზურგსაკიდი შემასხურებელი აპარატისათვის - 500-600 ლიტრი/ჰექტარზე;

iOLO -ს ტიპის ზურგსაკიდი შემასხურებელი აპარატისათვის–100-250 ლიტრი/ჰექტარზე;

ძველი ტიპის სატრაქტორო შემასხურებელი აგრეგატებისათვის 800-1000 ლიტრი/ჰექტარზე;

თუ ვიცით, რომ შემასხურებელი

აპარატი 1 ჰა ნარგაობის შესხურებაზე ხარჯავს 500 ლიტრ წყალს, ხოლო პრეპარატის ეტიკეტზე დატანილი ხარჯვის ნორმა არის 0.6 ლიტრი, მაშინ 500 ლიტრ წყალში უნდა გავხსნათ 0.6 ლიტრი (600 მილი ლიტრი) პრეპარატი. 100 ლიტრში - 120 მლ, 10 ლიტრში 12 მლ, 1 ლიტრში 1.2 მლ.

<u>როგორ ვებრძოლოთ აზიურ ფაროსანას საცხოვრებელ სახლებსა და შენობებში</u>

მავნებელი გამოსაზამთრებლად ინაცვლებს საცხოვრებელ სახლებსა და დახურულ შენობებში. მოზამთრე ფაზის წინააღმდეგ ბრძოლა სწორედ თავშესაფარი ადგილებიდან უნდა დაიწყოს. შენობებში (დახურულ სივრცეში) აზიური ფაროსანას წინააღმდეგ ბრძოლა შესაძლებელია მათი მექანიკური განადგურებით–გაჭყლეტის გარეშე, ფრთხილად დაჭერით და მათი საპნიან ხსნარში ჩაყრით. ფაროსანას მისატყუებლად და შესაგროვებლად შესაძლებელია 2-4 ნახვრეტიანი კარგად შეკრული მუყაოს ყუთების განთავსება შენობის აივნებზე ან შენობებთან ახლოს დასველებისაგან დაცულ ადგილებზე;

ასევე მავნებლის განადგურება შესაძლებელია შემდეგი მეთოდებით:

–სანათურს ვტოვებთ ანთებულს და ვუდგამთ ჯამს, რომელიც სავსეა საპნიანი წყლით. შუქზე მისული ფაროსანა ცვივა წყალში და იხოცება.

–აზიური ფაროსანას წინააღმდეგ ასევე ეფექტურად გამოიყენება „მოიზიდე და მოკალი“-ს მეთოდი. ინსექტიციდით გაჟღენთილი ბადე თავსდება ნაკვეთის პერიმეტრზე, სადაც მავნებლის მოზიდვის მიზნით მაგრდება 2-3 ერთეული ფერომონი. ბადესთან კონტაქტის შედეგად ფაროსანა კვდება.

ვეგეტაციის პერიოდში ბაღის კიდეზე არსებულ მცენარეზე 1 ან მეტი ფერომონი თავსდება და ტარდება ყოველკვირეული წამლობა ინსექტიციდებით. (პრეპარატებით) ფაროსანას განადგურება შენობებში შესაძლებელია იმ სადეზინფექციო საშუალებებითაც, რომელთა გამოყენება საფრთხეს არ შეუქმნის ადამიანთა ჯანმრთელობას (სითხეები, აეროზოლები, მაგალითად დიხლოფოსების ჯგუფის)

სამუშაოების დასრულების შემდეგ უნდა ჩატარდეს დამუშავებული ობიექტის დასუფთავება და განიავება, გამოყენებული პრეპარატის ინსტრუქციის გათვალისწინებით;

საცხოვრებელ/საზოგადოებრივ შენობებში აზიური ფაროსანას წინააღმდეგ შეიძლება გამოყენებულ იქნას:

1. რაფტორი-წყალზე დამზადებული აეროზოლი მცოცავი მწერების საწინააღმდეგოდ;
2. დიხლოფოსი ეკო
3. დიხლოფოს „მრ ვოლტ“ უნივერსალური
4. რეიდი ტარაკნებისა და ჭიანჭველების წინააღმდეგ.

<u>ფუტკრის დაცვის ღონისძიებები</u>

აზიური ფაროსანას წინააღმდეგ ქიმიური წამლობისათვის რეკომენდირებული ბიფეტრინის შემცველი პრეპარატები საველე პირობებში ტოქსიკურია ფუტკრისათვის. ამიტომ აუცილებელია დაცული იქნას შემდეგი რეგლამენტები: მცენარეთა შესხურება უნდა ჩატარდეს დილით ადრე ან გვიან საღამოს. ჰაერის ტემპერატურა არ უნდა იყოს 15 გრადუსზე მაღალი, ქარის სიჩქარე 1-2 მ/წამში, წამლობის პერიოდში ფუტკრის ფრენა უნდა შეიზღუდოს.

აღსანიშნავია, რომ თხილის ბაღებში ქიმიური წამლობა ფუტკარს არ უქმნის საშიშროებას, რადგან თხილი არ ითვლება ნექტრის მომცემ მცენარეთა ობიექტად, ხოლო თხილს ფუტკარი მხოლოდ ყვავილის მტვრის შესაგროვებლად სტუმრობს, აგროვებს მას იანვარ-თებერვალში ან მარტში, ხოლო წლის დანარჩენ პერიოდში ფუტკარს თხილთან არანაირი შეხება არა აქვს. ამიტომ თხილის პლანტაციის ქიმიური წამლობით გამოწვეული ტოქსიკურობა ფუტკრის მიმართ საშიშროებას არ წარმოადგენს.

<u>უსაფრთხოების წესები, რომლებიც პესტიციდების გამოყენებისას უნდა დავიცვათ.</u>

შენახვის, გამოყენებისა და ტრანსპორტირების დროს პესტიციდი განათავსეთ უსაფრთხო, მშრალ და კარგად ვენტილირებად ადგილას; არ შეინახოთ სურსათთან, ცხოველთა საკვებთან და ადამიანებისათვის განკუთვნილ სხვა პროდუქციასთან ერთად. მოარიდეთ ბავშვებს. პრეპარატი საშიშია წყლის ორგანიზმებისათვის, შესხურება დაუშვებელია წყალსატევების ახლოს 200 მეტრის რადიუსში. საკარმიდამო ნაკვეთებში ბიფეტრინით შესხურებისას ჭები უნდა გადაიფაროს.

–ჰერბიციდთან (პრეპარატი) მუშაობისას ხელები დაცული უნდა იყოს ხელთათმანებით. სახე და თვალები დაფარული უნდა იყოს ნიღბით ან დამცავი სათვალეებით. გამოიყენეთ სპეციალური ტანსაცმელი.

–კანთან კონტაქტისას გაიხადეთ დაბინძურებული ტანსაცმელი სასწრაფოდ ჩამოიბანეთ კანი საპნითა და წყლის დიდი რაოდენობით მიმართეთ ექიმს.

–თვალთან კონტაქტისას სასწრაფოდ ამოიბანეთ თვალები გამდინარე წყლის ჭავლით, მინიმუმ 15 წუთის განმავლობაში.

–შესუნთქვისას მოარიდეთ დაზარალებული სამუშაო ზონას: გაიყვანეთ სუფთა ჰაერზე და მიმართეთ ექიმს.

–გადაყლაპვისას სასწრაფოდ გამოირეცხეთ პირი და მიიღეთ დიდი რაოდენობით სითხე. არ გამოიწვიოთ პირღებინება.

–სამუშაოს დასრულების შემდეგ, ინვენტარი უნდა გავწმინდოთ და შევინახოთ მათთვის განკუთვნილ ადგილზე.

–დეტალური ინფორმაციისთვის შეგიძლიათ მიმართოთ გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ადგილობრივ საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურს შემდეგ მისამართზე: ქალაქი ხობი, ცოტნე დადიანის №189, ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციული შენობა, მე-3 სართული, ოთახი 303, ტელეფონი 595 858393.

მოლოცვა

ფუტკრები გაძლისფიანდნენ...

ჩვენი გაზეთის სარედაქციო კოლეგიის წევრს, საუკეთესო მხარდამჭერს, მეგობარს, შინიერმის დიდი გვარის გამოჩენილ პიროვნებას, ადამიანური თვისებებით შემკობილ მაფინ იჩაკლი შინიას და მის მეუღლეს–სანაფრელ ძმალს, გულნათელ ინგა ამრამიას საახალწლოდ ფუტკი ვაქი შეეძინათ. მიღოცვებს და საუკეთესო სურვილებს მიღო არ უჩანდა...

ამ დღეებში მაქსიმე და ალექსანდრე გაძლისფიანდნენ...

ვულოცავთ, უფალი ფარავდეთ. საქართველოს გულგასახარი ვაჟკაცები გაზრდილიყვნენ!

გვწერენ

არამომდგარი დიალოგი პროფესორთან

ამასწინათ „ახალი მზერის“ ზუგდიდის ფილიალის ექიმის, ჩემი მკურნალის ქალბატონ მადონა ჯიქიას ხელშეწყობისა და გულსმიერების წყალობით მქონდა შესაძლებლობა „ახალი მზერას“ პროფესორის ბატონ ონისე ცერცვაძის პაციენტი ვყოფილვიყავი.

საოპერაციოში მესმოდა ხმები: „თქვენ გაიხარეთ ექიმო, გმადლობთ ექიმო“ და სხვა ბევრი სამადლობელი სიტყვა. ჩემი რიგი რომ მოვდა ექიმმა მკითხა გვარი, წლოვანება, სადაურობა. ვუპასუხე–79 წლის ვარ, თბილისელი მეთქი.–თბილისელი მარტო ხოხობი იყო, წარმოშობით საიდან ხარო–ღიმილით შემომიბრუნა კითხვა. წარმოშობით გურული ვარ მეთქი. ამის შემდეგ გულდასმით გამსინჯა და ოპერაცია არ მირჩია: ოპერაციის დროს და მის შემდგომ შესაძლო გართულებების გამო.

წამოვედი გულდაწყვეტილი–მაგრამ პროფესორის რჩევის სიმართლეში დარწმუნებული მადლიერი პაციენტი. სახლში რომ მივედი ცოტა დავწყნარდი (თუმცა რამ დამამშვიდოს, როცა გართულების შემთხვევაში სრული სიბრმავე მელის) და ბატონ პროფესორთან დიალოგის გაგრძელების სურვილი გამიჩნდა. და ამ გაზეთის საშუალებით მინდა დაგვიანებული სამადლობელი ვუთხრა ჩემს ექიმს ქალბატონ მადონა ჯიქიას და ბატონ ონისე ცერცვაძეს და სუბიექტური აზრიც გავუზიარო.

–რატომ ხართ დარწმუნეული იმაში, რომ ხოხობი თბილისელი იყო? ეგებ შემოფრენილი იყო ახალომახლო ტერიტორიიდან, ხოლო მიზეზი იქ ქალაქის გაშენებისა, ხოხობი კი არა, ის ღვთით კურთხეული, მადლიანი, ბარაქიანი, თბილი წყლებითა და სამკურნალო ტალახით მდიდარი ადგილი–ქართული მიწა იყო–ამიტომაც ეწოდა იქ დაარსებულ ქალაქს თბილისი („ხალხიც თბილი და მზეც თბილი“), დიახ, თბილი წყლების გამო და არა იმ ხოხობის გამო, რომელიც ღმერთმა იცის, საიდან შემოფრინდა. ჩემი შვილიშვილი უკვე მეექვსე თაობაა, რაც თბილისელია, ამიტომ შემიძლია ვთქვა, თბილისელი ვარ მეთქი.

ბატონო პროფესორო, თქვენ ბევრი ადამიანი გლოცავთ თქვენი პროფესიიდან გამომდინარე, ამიტომ ღმერთს ვთხოვ ჩვენი მომავალი შეხვედრა–თუ ესეთი შედგა, ვისურვებდი მეც მეთქვას, მეც დამელოცოთ, „თქვენი ხელების ჭირიმე ექიმო, დიდი მადლობა, გაიხარეთ ბატონო პროფესორო!“

ზაირა სირაძე

დიდი მოკრძალებითა და პატივისცემით თქვენი პაციენტი, პენსიონერი მასწავლებელი 2018 წლის 2 მაისი.

ხობის მუნიციპალიტეტის ბეჭდვითი ორგანო
გამომცემელი: ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ- საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრი.
სარედაქციო კოლეგია: მერი ლაგვილავა, ნანი კილასონია, როზეტა შულაია, ბორის ბერაია, ბეჟან ნადარაია, ირაკლი შონია, თამთა ბუკია. კომპიუტერული უზრუნველყოფა– ჯულიეტა ლატარია.
გაზეთი აეწყო და დაკაბადონდა ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივ ცენტრში.
ტელ: 0 (414) 22-21-31; 22-25-81; 599-50-40-57; 577 21-41-44.
ელ. ფოსტა: xobismoambe@mail.ru.
დაიბეჭდა შ.პ.ს. გამომცემლობა „კოლორში“. თბილისი, რკინიგზის ჩიხი№20.
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
გაზეთში დაბეჭდილი მასალის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.